მალხაზ მაცაბერიძე

გეოპოლიტიკა:
ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები

თბილისი
2015

შინაარსი

1. რეალისტური და იდეალისტური მიდგომები გეოპოლიტიკაში....3
რეალიზმი....3
იდეალიზმი....4
მთავარი განსხვავება იდეალისტებსა და რეალისტებს შორის.4
იდეალისტური მიდგომის პერსპექტივები გეოპოლიტიკურ აზროვნებაში....5
ირენოლოგია და პოლემოლოგია....6
იდეალიზმი და რეალიზმი ქართულ გეოპოლიტიკურ აზროვნებაში....7
2. ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვის ურთიერთმიმართების საკითხი....11
ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვის მსგავსება და განსხვავება....11
ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვა თანამედროვე მსოფლიოში....13
ცივილიზაციური და ტრადიციული გეოპოლიტიკის ურთიერთმიმართება....14
ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვის სუბიექტები15
ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვის თანაფარდობა საქართველოს ისტორიაში....15
3. პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების თეორიული საკითხები....17
პატარა სახელმწიფოს ცნება....17
პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემატურობა..18
პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზები....20
პატარა სახელმწიფოს წარმატებული წინააღმდეგობის ფაქტორები....22
პოლიტიკოსების პროფესიონალიზმის მნიშვნელობა....26

1. რეალისტური და იდეალისტური მიდგომები გეოპოლიტიკაში

გეოპოლიტიკური აზროვნების ისტორიაში არსებობს ორი ძირითადი ტრადიცია - რეალიზმი და იდეალიზმი. ეს ორი მიდგომა ერთმანეთს უპირისპირდება, ამასთან, პირველი მათგანი აშკარად დომინირებს.

რეალიზმი

ნიკოლო მაკიაველი და კარლ კლაუზევიცი რეალისტური მიდგომის კლასიკური წარმომადგენლები არიან. ისინი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ძალას და მიაჩნდათ, რომ სახელმწიფოებს საშიში მდგომარეობიდან თავის დაღწევა მხოლოდ ძალის პოზიციიდან შეუძლიათ.

გეოპოლიტიკოსთა უმრავლესობა რეალიზმის პოზიციაზე დგას. მათ შექმნეს პოზიტივისტური გეოპოლიტიკა. XX ს. დამდეგს რეალისტები ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ საერთაშორისო ურთიერთობათა კანონები, რომლებიც მსოფლიო ისტორიას ყოვლისმომცველ გეოპოლიტიკურ ახსნას მოუძებნიდნენ.

რეალისტების აზრით, საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოთა ინტერესები გარდუვალად ეჯახება ერთმანეთს, რადგანაც ისინი იბრძვიან შეზღუდული რესურსებისათვის, კომუნიკაციებზე კონტროლის დასამყარებლად და ა.შ.

შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტებისგან განსხვავებით, რომელთაც არეგულირებს სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობა, სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებს არ გააჩნიათ ამგვარი შემაკავებლები, ანდა მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაშია შეკავების მექანიზმები. ამიტომ საერთაშორისო ურთიერთობებში დიპლომატიასთან ერთად ძალის გამოყენების მუქარა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ძირითადი ინსტრუმენტია.

რეალისტური მიდგომა განსახიერებულია ისეთ თეორიებსა და ცნებებში, როგორიცაა "სწრაფი რეაგირების სტრატეგია", "ორმხრივად გარანტირებული განადგურების" თეორია, "მასობრივი შურისძიების" დოქტრინა, "რკინის ფარდა", "დაშინების" დოქტრინა, "ცივი ომი" და ა.შ. დღე-

საც მრავალი სახელმწიფო და პოლიტიკოსი ემყარება "პოლიტიკური რეალიზმის" პრინციპებს.

თუმცა, ისტორიიდან ცნობილია მრავალი მაგალითი, როდესაც რეალიზმის პოზიციიდან მოქმედი მრავალი სახელმწიფო ლიდერი, ემყარებოდა რა ძალის პრინციპიდან საგარეო ამოცანების გადაწყვეტის იდეას, სინამდვილეში კარგავდა რეალობის შეგრძნებას, არ ითვალისწინებდა ძალთა რეალურ განლაგებას. ამგვარ შეცდომას უშვებდა ნებისმიერი დიქტატორი, რომელიც მსოფლიოზე ბატონობას ესწრაფვოდა.

იდეალიზმი

საერთაშორისო ურთიერთობებიდან ომებისა და ბატონობის გამორიცხვა, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის იდეა ძველი დროიდან არსებობს. მე-18 ს. ფრანგი განმანათლებლები ვოლტერი და მონტესკიე ანვითარებდნენ ევროპაში სახელმწიფოთა შორის ძალთა წონასწორობის დამყარების იდეას, რასაც მშვიდობა და კეთილდღეობა უნდა მოჰყოლოდა. თუმცა მთელი მე-18 ს. მანძილზე ევროპაში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ომები.

გეოპოლიტიკაში იდეალისტურ პოზიციაზე იდგა აშშ-ს პრეზიდენტი 1913-1921 წლებში ვუდრო ვილსონი (1856-1924), რომელმაც წამოაყენა "თოთხმეტი პუნქტის" პროგრამა და ცდილობდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ისეთი წესრიგის დამყარებას, რომელიც გამორიცხავდა ახალი ომის შესაძლებლობას. ვილსონის თანამედროვემ: ცნობილმა გეოპოლიტიკოსმა ჰელფორდ მაკინდერმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ვილსონის კეთილი სურვილების კრიტიკას. ესაა "დემოკრატიული იდეალები და რეალობა" (1919 წ.). ვერსალის მსოფლიო წესრიგმა მხოლოდ ორი ათეული წელი იარსება და გაცილებით უფრო სისხლისმღვრელი ომი მოჰყვა, ვიდრე პირველ მსოფლიო ომი იყო.

მთავარი განსხვავება იდეალისტებსა და რეალისტებს შორის

რეალისტები თვლიან, რომ საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელნი ძლიერი სახელმწიფოები არიან. იდეალისტები კი მიიჩნევენ, რომ უნდა არსებობდეს რაღაც პრინციპები, რომელთაც ყველა სა-

ხელმწიფო დაემორჩილება. მაგალითად, ვილსონის პროგრამა მოითხოვდა, რომ მსოფლიო კონტროლი განეხორციელებინა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს კოლექტიური მოქმედების შედეგად. ამ ტიპის აზროვნების მთავარი შედეგი იყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ერთა ლიგის შექმნა.

ცნობილი ამერიკელი გეოპოლიტიკოსი ნ.სპიკმენი აკრიტიკებდა რა იდეალისტურ მიმართულებას გეოპოლიტიკაში, მიუთითებდა მათ მთავარ შეცდომაზე. კერძოდ, იდეალისტებს სჯერათ, რომ ძალისმიერი პოლიტიკის მსოფლიოში კარგი ურთიერთობები ყალიბდება ლიდერებს ან ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობების წყალობით. საერთაშორისო ურთიერთობების ხუთი ათასი წლის მანძილზე არ ყოფილა რაიმე, რაც ამ რწმენას განამტკიცებდა. სპიკმენის განცხადებით, კავშირები იქმნება არა გრძნობებისა და ემოციების წყალობით, არამედ გეოგრაფიული მიზეზებისა და ძალთა ბალანსის ზემოქმედებით. თუკი ამასთან წარმოიშობა რაიმე მეგობრული გრძნობა მოკავშირის მიმართ, ეს ჩვეულებრივ შედეგია და არა პოლიტიკური თანამშრომლობის მიზეზი.

იდეალისტური მიდგომის პერსპექტივები გეოპოლიტიკურ აზროვნებაში

მიუხედავად რეალიზმის დომინირებისა გეოპოლიტიკურ აზროვნებაში და მისი "სიმართლის" მრავალგზის პრაქტიკულად დადასტურებისა, იდეალიზმი არათუ ინარჩუნებს თავის "ნიშას" გეოპოლიტიკურ აზროვნებაში, არამედ თანამედროვე პირობებში გარკვეულ რენესანსსაც განიცდის.

რეალიზმის "სიმართლის" დადასტურება კაცობრიობას ყოველთვის უდიდესი დანაკარგების ფასად უჯდებოდა. გარდა ამისა, ძალის ფაქტორმა ბირთვული იარაღის გამოგონების შემდეგ ისეთ აბსოლუტურ მასშტაბებს მიაღწია, რომ მისი გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად შეუძლებელი ხდება.

მაგრამ იდეალიზმმა, იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ადგილი გეოპოლიტიკურ აზროვნებაში, უნდა შექმნას სერიოზული ბაზა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში წვლილის შესატანად, ამასთან იგი იმდე-

ნად მტკიცე უნდა იყოს, რომ გაუძლოს ყველა არსებულ საფრთხეს. ასეთი მოდელი რეკომენდაციულიდან ნორმატიულში უნდა ტრანსფორმირდეს.

რიგი ავტორების აზრით, იდეალისტური მიდგომის პრაქტიკულ რეალიზებად შეიძლება მივიჩნიოთ ევროკავშირის შექმნა. ახალი ევროპის მოდელის სიცოცხლისუნარიანობის დადასტურების შემთხვევაში, შესაძლებელია მისი გამოცდილება სხვა რეგიონებზე გადატანა. ამას შეიძლება მოჰყვეს ქვეყნების ერთი ჯგუფის სხვებზე ბატონობისა და კონტროლის დოგმატურ პრინციპზე ინტეგრაციის პრინციპის გამარჯვება..

ირენოლოგია და პოლემოლოგია

როგორც სამეცნიერო მიმართულება, იდეალისტური იდეები თანდათანობით ჩამოყალიბდა სამეცნიერო დისციპლინის - ირენოლოგიის სახით (ბერძნ. Eirnene - მშვიდობა), რომლის მიზანიც მშვიდობის კვლევაა. პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებობს სხვა მიმდინარეობაც - პოლემოლოგია (ბერძნ. polemos - ომი). იგი იკვლევს ომებსა და შეიარაღებულ კონფლიქტებს. ეს ორი დისციპლინა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

წამყვან ირენოლოგიურ დაწესებულებად ითვლება მშვიდობის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი ოსლოში, რომელიც 1959 წ. შექმნა ი.გალტუნგმა. გავლენიან საერთაშორისო ინსტიტუტს წარმოადგენს აგრეთვე მშვიდობის კვლევის სტოკჰოლმის ინსტიტუტი (სიპრი), აგრეთვე მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი ვენაში. აშშ-ში არსებულ ირენოლოგიურ ცენტრებს შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ს.მედლოვიცის მიერ შექმნილ მსოფლიო წესრიგის ინსტიტუტს.

პოლემოლოგია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა ფრანგი სოციოლოგის გ.ბუტულის, ნიდერლანდელი პოლიტოლოგის ბ.რელინგის და იტალიელი პოლიტოლოგის ფ.ფორნარის ნაშრომებში. პოლემოლოგები ხელმძღვანელობენ პრინციპით: "გინდა მშვიდობა - გაიაზრე ომი". მათი მიზანია ომების, კონფლიქტებისა და კოლექტიური აგრესიულობის სხვა ფორმების დისციპლინათშორისი კვლევა, მათი თავიდან აცილების მიზნით.

იდეალიზმი და რეალიზმი ქართულ გეოპოლიტიკურ აზროვნებაში

ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიაში მკაფიოდ ჩანს როგორც იდეალისტური, ისე რეალისტური მიდგომა. რეალისტური მიდგომის ნიმუშია ბალანსირება თურქეთსა და ირანს შორის XVI-XVIII სს., ასევე აგრესორის დაშოშმინების პოლიტიკა. ძლიერ მეზობლებს შორის მოქცეული ქართული სამეფო-სამთავროები მათ შორის ლავირებას ცდილობდნენ, ოსმალეთის წინააღმდეგ ირანს იშველიებდნენ, ირანის წინააღმდეგ კი ოსმალეთს. ცდილობდნენ "დღევანდელი" მტერი, "ხვალინდელი" მტრის მეშვეობით მოეგერიებინათ.

შიდაბრძოლები და გარეშე დიდი დამპყრობლები საქართველოს მეფე-მთავრებისგან მოქნილი პოლიტიკის გატარებას მოითხოვდა, იმისათვის რომ შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობა, ანდა უბრალოდ, არსებობა. აქ იყო როგორც შეურიგებელი ბრძოლა მტერთან, ისე დათმობისა და დაშოშმინების პოლიტიკა, მცდელობა უცხო ძალების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებისა და მოკავშირის დაუცხრომელი ძიება.

თეიმურაზ I-ის დროს საქართველოში ჩამოსული იტალიელი მისიონერი დიონიჯიო კარლი, რომელმაც თბილისი აღწერა, სხვასთან ერთად შემდეგსაც აღნიშნავს: ქართველებს თბილისში არც სტამბა აქვთ, არც ნაბეჭდი წიგნები, მაგრამ ისეთი ოსტატობითა და დახვეწილი პოლიტიკით მართავენ თავიანთ ქვეყანას, რომ მაკიაველსაც კი შეშურდებაო.[1]

იდეალისტურ მიდგომად შეიძლება მივიჩნიოთ მფარველის ძიება, რომელიც საქართველოს არსებული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარებოდა. საუკუნეების განმავლობაში მუსლიმურ გარემოცვაში მყოფ საქართველოში ეგონათ, რომ ქრისტიანული ქვეყანა მათ უანგაროდ დაეხმარებოდა, პრობლემების გადაწყვეტაში ხელს შეუწყობდა და სანაცვლოდ მხოლოდ მოკავშირეობით დაკმაყოფილდებოდა.

ივანე ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: "ჩვენ წინაპრებს ეგონათ, რომ ძლიერი ქრისტიანი ერი უანგარო დახმარებას

[1] დიონიჯიო კარლი. თბილისის აღწერა. ბ.გიორგაძის თარგმანი, მსკი, 1951, 6, 29, გვ.167

გაუწევს მცირე ქრისტიან ერს და ძლიერი ერის პოლიტიკაში ვერაგობას ადგილი არ ექნებოდა"

როდესაც ივანე ჯავახიშვილი აანალიზებდა თუ რამ განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევა და მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია., ის ასახელებდა ერთადერთ მიზეზს - "ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა" ევროპელებთან და, კერძოდ, რუსეთთან მიმართებაში.

ივანე ჯავახიშვილის მოკლე ისტორიული ექსკურსი მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიაში აჩვენებს, თუ რა კატასტროფული შედეგები მოუტანა საქართველოს ვახტანგ VI-ის და ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მიმართ გატარებულმა ამგვარმა გულუბრყვილო პოლიტიკამ. ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა მთავარი დასკვნა: "თუ საქართველო თვითონ დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას, მაშინ იყო მისი რენესანსიც. როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს, მაშინ მისი საქმეები აირეოდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოსთვის დახმარების გაწევა. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა და საქართველოსთვის ზრუნვა მხოლოდ სიტყვის მასალა იყო".

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართველ პოლიტიკოსთა მიერ დაშვებულმა საბედისწერო შეცდომებმა განაპირობა ჩვენი ქვეყნის მიმართ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წარმატება. "ქართულ პოლიტიკის გულუბრყვილობამ, უსუსურობამ მიიყვანა საქართველო ოკუპაციამდე", - აღნიშნავდა ივ.ჯავახიშვილი.

ისტორიის ეს გამოცდილება ივანე ჯავახიშვილის აზრით, "საგულისხმო და გამაფრთხილებელი" იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდშიც. ივ.ჯავახიშვილს განსაკუთრებით შემაშფოთებლად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც ძველმა საბედისწერო სენმა კვლავ თავი იჩინა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. "ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა", - ასეთ შეფასებას აძლევდა ახალი თაობის ქართველ პოლიტიკოსთა აზროვნებას და მოქმედებას ივანე ჯავახიშვილი.

ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა გამოვლინდა იმაში, რომ "რუსეთს ყველაზე გვიან საქართველო ჩამოშორდა", რადგანაც "ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად სურდა საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა". მაგრამ ივანე ჯავახიშვილს ეს არ მიაჩნია დიდ შეცდომად და აღნიშნავდა, რომ "პირველი ნაბიჯი საქართველოს გასანთავისუფლებლად გადიდგა თავის დროზედ და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია".

ივ.ჯავახიშვილს "გულუბრყვილო პოლიტიკის" გაგრძელებად მიაჩნია ქართველ პოლიტიკოსთა ნდობა ანტანტის წარმომადგენელთა განცხადებებისა და დაპირებებისადმი. 1919 წელს პარიზის კონფერენციაზე მიმავალი საქართველოს დელეგაცია მშვიდად შეხვდა იმ ფაქტს, რომ სომხეთის დელეგაცია მოკავშირეებმა ბათუმში ჩამოსვლისთანავე გააგზავნეს პარიზისაკენ, საქართველოს დელეგაციას კი ერთი კვირა აცდევინეს - თქვენთვის სპეციალურად ჩამოვა გემიო. "ზოგიერთ ჩვენ დელეგაციის წევრებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ მოკავშირენი გულწრფელნი იყვნენ გემის დაგვიანების მიზეზების ახსნაში. აქაც სჩანდა ჩვენი გულუბრყვილო პოლიტიკოსობა", - ირონიულად შენიშნავდა ივ.ჯავახიშვილი.

იმდროინდელი ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა, რიგ შემთხვევებში, გამომდინარეობდა პარტიული იდეოლოგიიდანაც. სოციალისტური პარტიები დიდ იმედს ამყარებდნენ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის წარმატებაზე. ივ.ჯავახიშვილს უხდებოდა იმ დელეგაციაში ყოფნა, რომლის წევრების დიდი ნაწილიც რევოლუციური მოლოდინებით იყო გამსჭვალულნი და ამ პოზიციიდან აღიქვამდა მოვლენათა განვითარებას. იყო მოლოდინი იმისა, რომ "ევროპის დიდ ომს უნდა მოჰყოლოდა დიდი გარდაქმნა".

ივ.ჯავახიშვილმა ლექცია "მიმდინარე მომენტის" შესახებ წაუკითხა უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომელთა დიდი ნაწილიც პოლიტიკაში იყო ჩართული და თუ სტუდენტური გამგეობის შემადგენლობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მნიშვნელოვანწილად სოციალისტურად განწყობილი. სწორედ იმ სტუდენტების სახელით, რომლებიც ივ.ჯავახიშვილის ლექციას უსმენდნენ, დამფუძნებელი კრებისათვის გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამი იყო: "ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ესალმება ქართველ ერის სუვერენობის

დამადასტურებელ საქართველოს დამფუძნებელ კრებას და გამოსთქვამს სურვილს, რომ კაპიტალიზმის რღვევის ხანაში საქართველოს სოციალისტური წარმომადგენლობა გაბედულად ამოუდგეს გვერდში მებრძოლ სოციალისტურ დემოკრატიას და ცხოვრების ბურჟუაზიული საფუძვლები შესცვალოს სოციალისტური საფუძვლებით, რაც საქართველოს მიანიჭებს იმ შრომის სუფევას, რისთვისაც სისხლიდან იცლება მოწინავე ევროპა".[2] როგორც ვხედავთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები საქართველოს დამფუძნებელ კრებას უსურვებენ არა საქართველოს სახელმწიფოს საკეთილდღეოდ მუშაობას, არამედ აქტიურ მონაწილეობას მსოფლიოს სოციალისტურად გარდაქმნაში.

ივ.ჯავახიშვილი მოუწოდებდა ქართულ პოლიტიკაში გულუბრყვილობის დაძლევისაკენ. ქართული პოლიტიკისათვის არაფერი შეიცვლებოდა უკეთესობისაკენ, თუკი ერთმორწმუნეობით განპირობებულ გულუბრყვილობას ჩაანაცვლებდა გარკვეული იდეოლოგიით განპირობებული პოლიტიკური გულუბრყვილობა. "ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა", - ივანე ჯავახიშვილის ეს გაფრთხილება, სამწუხაროდ, სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული.

იდეალისტურ მიდგომას წარმოადგენდა 1921 წლის დამდეგს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული აღიარებით გამოწვეული სიხარული. მაშინ საქართველოს ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ მიღწეული იქნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მყარი გარანტიები. შედეგად, სათანადოდ ვერ შეაფასეს ის საფრთხე, რაც შექმნილ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში რეალურად ემუქრებოდა საქართველოს და განაპირობა კიდეც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა.

იდეალისტური მიდგომის სიჭარბე დამახასიათებელია თანამედროვე საქართველოს ოფიციალური საგარეოპოლიტიკური კონცეფციისათვის, როდესაც, მაგალითად, ცხადდება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და "მეგობარი ქვეყნების" მეშვეობით მოგვარდება ქვეყნის უმწვავესი პრობლემა - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

[2] "სახალხო საქმე", 1919 წლის 19 აპრილი

2. ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვის ურთიერთმიმართების საკითხი

21-ე საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მსოფლიოს ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვის აქტუალიზება, კონფლიქტი ამ ორ ხედვას შორის და იმავდროულად, მათი თავისებური სიმბიოზი და ურთიერთგადახლართვა.

თუმცა აღსანიშნავია, რომ გეოპოლიტიკაში ცივილიზაციური ანალიზის სათავეები უფრო ღრმაა და ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი რუსი მეცნიერი ნ.დანილევსკის (1822-1855) ნაშრომია „რუსეთი და ევროპა“ (1869 წ.). დანილევსკიმ დაამუშავა ცივილიზაციური პარადიგმა როგორც გეოპოლიტიკური მეთოდი, მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კულტურის მიზიდულობის ძალა გადამწყვეტის გეოპოლიტიკაში.[3]

ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვის მსგავსება და განსხვავება

შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზაციურ და გეოპოლიტიკურ ხედვას ერთნაირი დანიშნულება აქვს: ესაა ერთი მხრივ, მსოფლიოს გარკვეულ აღქმა და მეორე მხრივ, ამ მსოფლიოში ცალკეული ერებისა და სახელმწიფოების გარკვეული ადგილის ჩვენება.

ამავე დროს მსოფლიოს ეს ორი ხედვა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ცივილიზაციური ხედვისათვის ამოსავალია მოწესრიგებული, სტრუქტურირებული მსოფლიოს სურათი, რომელშიც სუვერენული სახელმწიფოების მაღლა არსებობს რაღაც სუპერსისტემა - ზეეროვნული, ზესახელმწიფოებრივი ნორმების ცივილიზაციური კრებული, რომელსაც ყველა ემორჩილება. შედეგად იქმნება სტაბილური სივრცე, სადაც საერ-

[3] И.А.Василенко. Георолитика современного мира. Москва. Гардарики, 2006, стр.39

თაშორისო ურთიერთობების ყოველი სუბიექტის უფლებები და უსაფრთხოება გარანტირებულია, მოვლენების განჭვრეტა კი ადვილი შესაძლებელია, რადგან საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტების ქცევა საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად ხდება და, ამდენად, სისტემა დაცულია "მოულოდნელობებისაგან".

გეოპოლიტიკური ხედვის ამოსავალი დებულებაა მსოფლიოში სახელმწიფოებისა და ხალხების პრინციპული მარტოობა და ამიტომ დომინირებულ მსოფლშეგრძნებას "შეშფოთება" წარმოადგენს. გეოპოლიტიკური ხედვის თანახმად, ნამდვილი რეალობა მხოლოდ ერთმანეთისგან იზოლირებულად არსებული სახელმწიფოებია, რომლებიც რთულ და საშიშ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი გადარჩენისათვის, ხოლო მთელი ცივილიზაციური სუპერსისტემა - საერთაშორისო სამართალი, "ახალი მსოფლიო წესრიგი", ზოგადსაკაცობრიო ინტერესები და ა.შ. - მხოლოდ ილუზიაა, რომელიც მაშინვე ირღვევა და უკუიგდება, როდესაც ძლიერ სახელმწიფოთა რეალურ ინტერესებს ეჯახება. გეოპოლიტიკურ ცნობიერებას არ სჯერა არანაირი ცივილიზაციური გარანტიებისა.

ცივილიზაციური ცნობიერება წარმოადგენს დამსახურებული წარმატების მსოფლაღქმას (მასში ერთმანეთს უხამდება დეტერმინიზმი, რაციონალიზმი და ოპტიმიზმი); გეოპოლიტიკური ცნობიერება აქტიურდება როგორც დაუმსახურებელი წყენის ცნობიერება (მისთვის დამახასიათებელია ირაციონალიზმი, რევანშისტულ-გმირული ან სტოიკურ-ფატალისტურ პესიმიზმთან შეხამებით). ნიშანდობრივია, რომ გეოპოლიტიკა განსაკუთრებით პოპულარული იყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგი პერიოდის გერმანიაში და დღეისათვის არის რუსეთში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

ცივილიზაციურ ლოგიკას ზოგჯერ გაიაზრებენ როგორც ინდუსტრიული საზოგადოებიდან პოსტინდუსტრიულზე გადასვლის პროცესისათვის დამახასიათებელ ფენომენს, რომელიც ინდუსტრიული ეპოქისათვის დამახასიათებელი შეზღუდვების მოხსნის მაუწყებელია. მის საპირისპიროდ, გეოპოლიტიკური ლოგიკა ასახავს საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ მეხსიერებას, რაც პოლიტიკურ ისტორიასა და გეოგრაფიაშია დაფიქსირებული.

ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვა თანამედროვე მსოფლიოში

XX ს. 90-იანი წლების დასაწყისში, ბიპოლარული მსოფლიოს რღვევის პერიოდში წარმოიშვა თავისებური ეიფორია "ახალი მსოფლიო წესრიგის", "ისტორიის დასასრულის", "ერთიანი ევროპული სახლის" თაობაზე. თუმცა დღეს, 21-ე საუკუნის დამდეგს, მთელი ძალით იჩენს თავს გეოპოლიტიკური ცნობიერების პესიმისტური რეალიზმი.

აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე მსოფლიოში გეოპოლიტიკური პრინციპების საფუძველზე მოქმედი სუბიექტები საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების სხვებისთვის თავსმოხვევას ცივილიზაციური კონცეფციების მოშველიებით ახორციელებენ. ნათქვამის საილუსტრაციოდ შორს წასვლა არაა საჭირო:

- ს.ჰანთინგტონის ცნობილი "ცივილიზაციათა შეჯახების" კონცეფცია არსებითად ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვის თავისებურ გადახლართვას წარმოადგენს. ჰანთინგტონი დასავლეთის სამყაროს ორი ცენტრის _ აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ერთიანობის აუცილებლობას ასაბუთებს "ცივილიზაციებად გათიშულ" მომავლის მსოფლიოში;

- რუსი გეოპოლიტიკოსები ბრალს სდებენ დასავლეთს, რომ ე.წ. "ზოგადსაკაცობრიო", "ცივილიზაციური" ნორმების უკან პირველ რიგში აშშ-ს ინტერესები დგას. თუმცა, თავად რუსეთშიც თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზებას ე.წ. "ევრაზიული ცივილიზაციის" და "მართლმადიდებლური ცივილიზაციის" კონცეფციების მოშველიებით ცდილობენ. მართლმადიდებლური სამყაროს ერთიანობის კონცეფციას უფრო "ლოკალური" გამოყენება აქვს, მაგალითად, საქართველოსთან მიმართ, რაც შეეხება "ევრაზიული ცივილიზაციის" კონცეფციას, ის ლამის რუსეთის ოფიციალურ იდეოლოგიად იქცეს. ამ კონცეფციის თანახმად, ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებს ერთი ისტორიული ბედი აქვთ და ერთიან ცივილიზაციურ ერთობას წარმოადგენენ. ამ კონცეფციის დანიშნულება "პოსტსაბჭოური სივრცის" ინტეგრაციის იდეოლოგიური ბაზის შექმნაა.

ცივილიზაციური და ტრადიციული გეოპოლიტიკის ურთიერთმიმართება

თანამედროვე პირობებში ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვების გადახლართვის შედეგად ფაქტობრივად ყალიბდება ახალი მიმართულება გეოპოლიტიკაში, რომელსაც "ცივილიზაციური გეოპოლიტიკა" შეიძლება ვუწოდოთ.

როგორც ნებისმიერი პოლიტიკა, გეოპოლიტიკაც წარმოადგენს დიალოგის ფორმას - თავისებურ "სივრცითი კატეგორიებით" საუბარს, როდესაც გეოპოლიტიკის სუბიექტებს შორის მიმდინარეობს მეტოქეობა სივრცეზე კონტროლისათვის გამოწვევა-პასუხის ლოგიკის საფუძველზე.

ტრადიციული გეოპოლიტიკა აღიარებდა რა სახელმწიფოთა მართოობას, იმავდროულად გულისხმობდა, რომ ბრძოლა სხვა სახელმწიფოებთან სამკვდრო სასიცოცხლო ხასიათს ატარებდა და ამ ბრძოლაში უნდა მომხდარიყო სუსტების შთანთქმა ძლიერის მიერ, სხვა ერი-სახელმწიფოების გაქრობა მსოფლიო არენიდან. თანდათანობით ჩამოყალიბდებოდა "სახელმწიფო-კონტინენტები", რომლებიც მსოფლიოზე ბატონობას შეეცილებოდნენ ერთმანეთს.

ტრადიციული გეოპოლიტიკისთვის დამახასიათებელი ღია და მტაცებლური იმპერიალიზმი დღეს მიუღებელია თანამედროვე საზოგადოებრივი აზრისათვის. ყოველ შემთხვევაში, მიუღებელია დასავლური ცნობიერებისათვის, რომელიც თანამედროვე პირობებში დომინირებს მსოფლიოში.

ცივილიზაციური გეოპოლიტიკა ტრადიციული გეოპოლიტიკისაგან განსხვავებით, მეტროპოლიის მიერ სივრცეზე "შერბილებულ კონტროლს" გულისხობს. "ბირთვი-სახელმწიფოს" გარშემო არსებობს გარკვეული სივრცე მისთვის სასურველი წესრიგით. ამ წესრიგის ხასიათი კი დამოკიდებულია "ბირთვი-სახელმწიფოს" ხედვაზე.

ამ თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ დასავლეთის ცივილიზაციური ხედვა და ე.წ. ევრაზიული ცივილიზაციის კონცეფცია. დასავლური ცივილიზაციის ფარგლებში ინტეგრაციული პროცესები გულისხმობს სუსტების ინტერესების გარკვეულწილად გათვალისწინებას და სუვერენიტეტზე უარის თქმა არ წარმოადგენს დომინანტურ მოთხოვნას. რაც შეეხება ევრაზიულ ცივილიზაციას, რომელსაც ქადაგებენ რუსი

გეოპოლიტიკოსებისა და პოლიტიკოსების ნაწილი, იგი კვლავ გულისხმობს ერთიანი სახელმწიფოს შექმნას ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიაზე.

ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვის სუბიექტები

ცივილიზაციური ხედვა დამახასიათებელია:

- ძლიერი სახელმწიფოსთვის, რომელიც გარკვეულ თავისთვის სასურველ წესრიგს ამყარებს მსოფლიოს რაღაც ნაწილზე (ამის თვალსაჩინო მაგალითია თანამედროვე აშშ);

- პატარა სახელმწიფოსთვის, რომელიც უსაფრთხოების გარანტიებსა და მფარველს ეძებს (მაგალითად, საქართველო ქრისტიანული ან ერთმორწმუნე მფარველის ძიებისას);

გეოპოლიტიკური ხედვა დამახასიათებელია:

- დიდი სახელმწიფოსთვის, რომელსაც "შევიწროების", "უსამართლოდ განცდილი მარცხის" განწყობა აქვს და რევანშს ესწრაფვის (მაგალითები: XX ს. 20-30-იანი წლების გერმანია და თანამედროვე რუსეთი);

- პატარა სახელმწიფოსთვის, რომელიც საკუთარ ძალებზე დაყრდნობით და დიდ სახელმწიფოებს შორის ლავირებით ცდილობს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ამასთან არ გააჩნია რაიმე მნიშვნელოვანი ილუზიები "ცივილიზაციური წესრიგისა" და "სამართლიანობის გარანტიების", სხვების მიერ მისი პრობლემების მოგვარების თაობაზე.

ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვის თანაფარდობა საქართველოს ისტორიაში

როგორია ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური ხედვის თანაფარდობა საქართველოს ისტორიაში? XII ს. - XIII ს. დასაწყისი, ფაქტობრივად ერთადერთი პერიოდია საქართველოს ისტორიაში, როდესაც ჩვენს ქვეყანას შეეძლო, თავისი ძლიერებიდან გამომდინარე, თავისი გავლენა თითქმის მთელ კავკასიაზე და მის ფარგლებს გარეთაც გაევრცელებინა და გარკვეული საერთაშორისო წესრიგი შეექმნა.

თამარის მეფობის ხანაში "ყოველი საქართველოს" გარშემო შეიქმნა "ყმადნაფიც" ანუ მეგობარ ვასალურ სახელმწიფოთა სარტყელი. ამ პოლიტიკის შესახებ თამარის ისტორიკოსი ბასილ ეზოსმოძღვარი აღნიშნავს: "...რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენცა მიმძლავრებულთა უკუსცა სამეფო თვისი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თვისად აგნა და რაოდენნი სიკვდილად დასჯილნი განათავისუფლნა" (). ბასილ ეზოსმოძღვარი ჩამოთვლის კიდეც იმ ქვეყნებს, რომელნიც ყმადნაფიცობის პირობით იყვნენ საქართველოსთან დაკავშირებულნი: "... და ამის მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთანი, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა, ტრაპიზონელთა, რომელნიც თავისუფლებათა ცხოვრებათა ამას მიერ იყვნენ და მტერთაგან უზრუნველობასა" (იქვე). სხვა საკითხია, რამდენად მომგებიანი აღმოჩნდა, საბოლოო ჯამში, ურთიერთობის ასეთი ფორმა საქართველოსათვის.

მომდევნო ხანებში გეოპოლიტიკური ხედვისათვის დამახასიათებელი მარტოობის გრძნობა და გადარჩენისათვის ბრძოლა საქართველოსთვის ნაცნობი მდგომარეობაა. ამავე დროს მოკავშირისა და მფარველის ძიება საქართველოსათვის განაპირობებდა გარკვეული "ცივილიზაციური წესრიგისა" და გარანტიების ძიებას. საბოლოო ჯამში ეს ილუზიური აღმოჩნდა. მფარველის ძიებით და მის იმედად ყოფნით დავკარგეთ გეოპოლიტიკური აზროვნებიდან გამომდინარე სიფრთხილე და რეალიზმი. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა მე-18 საუკუნეში, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ ამის გამო ორჯერ განიცადა პოლიტიკური კატასტროფა _ ვახტანგ VI და ერეკლე II-ს დროს.

დღეს საქართველოსთვის უაღრესად მწვავედ დგას გეოპოლიტიკური საკითხები. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სახელმწიფოებრივი გადარჩენის პრობლემა. ჩვენი და სხვათა გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ საკუთარი ეროვნული ინტერესების დავიწყება არ შეიძლება დღეს პოპულარული არც "გლობალიზაციის", არც "ევროპული ინტეგრაციის" და არც "ევრაზიული ცივილიზაციის" სახელით.

3. პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების თეორიული საკითხები

პატარა სახელმწიფოს ცნება

თუ შევადარებთ XX საუკუნის დასაწყისის და XXI საუკუნის დამდეგის პოლიტიკურ რუქებს, განსხვავება თვალშისაცემია: გასული საუკუნის დასაწყისში დედამიწა რამდენიმე დიდ იმპერიას შორის იყო დანაწილებული, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ ახალი კოლონიების ხელში ჩასაგდებად, ხოლო დღეს პლანეტაზე მრავლად არსებობს იმპერიების დაშლის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფოები. სუვერენულ სახელმწიფოთა რაოდენობა ორ ასეულს აღწევს.

იმპერიების ნაცვლად ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბება XX საუკუნის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ტენდენცია იყო, თუმცა საუკუნის ბოლოს დასავლეთ ევროპაში შესამჩნევი გახდა ახალი მოვლენა _ ეროვნულ სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია. მიუხედავად ამისა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ სახელმწიფოთა არსებობა და ახალი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება ჩვენი დროის დამახასიათებელი ტენდენციაა და დარჩება ასეთად თვალსაწიერ მომავალშიც.

არსებული სახელმწიფოები თავისი ტერიტორიით, მოსახლეობის რაოდენობით, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. ამდენად, ჩნდება "დიდი" და "პატარა" სახელმწიფოების ცნებები.

საერთაშორისო კონფლიქტების დროს მათი შესაძლებლობანი საკუთარი ინტერესების, სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დასაცავად მნიშვნელოვნად განსხვავდება. ტერმინი "პატარა სახელმწიფო" საკმაოდ პირობითი და შეფარდებითია. საქართველო არაფრით ჩამოუვარდება სომხეთს ან აზერბაიჯანს, მაგრამ პატარა სახელმწიფოს წარმოადგენს რუსეთის ან თურქეთის მიმართ. თავის მხრივ, თურქეთი, რომელიც დიდი სახელმწიფოა საქართველოს მიმართ, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება და არსებითად პატარა სახელმწიფოა რუსეთთან შედარებით. მაშასადამე, "პატარა" შეიძლება ეწოდოს ისეთ სა-

ხელმწიფოს, რომლის ძლიერებაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება თუნდაც ერთ-ერთ მის მეზობელ სახელმწიფოს.

პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემატურობა

პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემატურობა დაკავშირებულია ძალთა უთანასწორობასთან - როგორ უნდა გაართვას პატარა სახელმწიფომ თავი იმ ფაქტს, რომ ის ფიზიკურად გაცილებით სუსტია თავის პოტენციურ მოწინააღმდეგეზე ან თავდამსხმელზე და შეძლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში მრავალი ნაშრომი არსებობს, რომლებიც სპეციალურად ეძღვნება პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების საკითხებს.

ძალთა უთანაბრობა და განსხვავებული შესაძლებლობანი საკუთარი პოლიტიკის გატარების საქმეში სპეციფიურ პრობლემებს წარმოშობს პატარა სახელმწიფოსა და მის მეზობელ დიდ სახელმწიფოს ურთიერთობაში.

დიდი სახელმწიფოს მმართველ წრეებში შეიძლება შეიმჩნეოდეს ქედმაღლური დამოკიდებულება პატარა მეზობლისადმი. დიდ სახელმწიფოს მრავალი საშუალება მოეპოვება იმისათვის, რათა საკუთარი ნება თავს მოახვიოს პატარა მეზობელს. შეიძლება ითქვას, რომ იდეალურ შემთხვევაში, დიდი სახელმწიფოები მიისწრაფვიან გავლენისა და კონტროლის მიღწევას ყველა მეზობელ პატარა სახელმწიფოზე. უმთავრესი არგუმენტი ამისათვის არის დიდი სახელმწიფოსათვის მეზობელი ქვეყნის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მითითება. მაგალითად, პატარა სახელმწიფოზე კონტროლის დამყარების გზით ცდილობს უპირატესობის მოპოვებას მეტოქე დიდ სახელმწიფოსთან მიმართებაში ან მიისწრაფვის არ დაუშვას მეტოქე დიდ სახელმწიფოსთან მიმართებაში ან მიისწრაფვის არ დაუშვას მეტოქე დიდი სახელმწიფოს კონტროლის დამყარება მოცემულ პატარა სახელმწიფოზე.

პატარა და მეზობელ დიდ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ბევრადაა დამოკიდებული ამ უკანასკნელში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმზე, გაბატონებულ პოლიტიკურ იდეოლოგიასა და მის საგარეო

პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებზე. დიდი სახელმწიფოს სწრაფვა პატარა სახელმწიფოზე კონტროლის დასამყარებლად შეიძლება შემოიფარგლოს ამ უკანასკნელთან კავშირის ძიებით ან აღებული იქნას კურსი მის საშინაო ცხოვრებაში უხეშ ჩარევასა და პირდაპირ აგრესიაზე.

თანამედროვე ცივილიზებული საერთაშორისო ურთიერთობანი, საიდანაც უნდა გამოირიცხოს ძალადობა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში, ვრცელდება ჯერ-ჯერობით მხოლოდ მეტად შეზღუდულ არეალზე და სამწუხაროდ სუსტად მოქმედებს იმ რეგიონში, რომელშიც საქართველო მდებარეობს.

დიდი და პატარა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს უნდობლობის ფაქტორი. წარსულში პატარა სახელმწიფო შეიძლება მრავალგზის ყოფილა დიდი სახელმწიფოს აგრესიის ობიექტი ან საერთოდ დაბყრობილი იყო ამ უკანასკნელის მიერ. ეს აჩენს შიშს მეზობელი დიდი სახელმწიფოს მიმართ _ ხომ არ ატარებს ის კვლავ აგრესიულ ზრახვებს, რამდენად შეიძლება მისი ნდობა უსაფრთხოების საკითხებში და ა.შ.

მაგალითად, საქართველოს მეზობელ დიდ სახელმწიფოებთან _ რუსეთთან და თურქეთთან ურთიერთობაში უნდობლობისათვის აქვს, შეიძლება ითქვას, საკმარისზე მეტი ისტორიული გამოცდილება. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თურქეთის ხელისუფლებამ საქართველოს მიმართ კორექტული პოლიტიკით კარგად იმუშავა ამ უნდობლოს გასაქრობად, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით რუსეთზე.

უნდობლობა შეიძლება არსებობდეს დიდი სახელმწიფოს მხრიდანაც _ წარსული აგრესია ხომ არ უბიძგებს პატარა სახელმწიფოს დაუკავშირდეს მის მეტოქე დიდ სახელმწიფოს?

უნდობლობა იწვევს დაძაბულობის ზრდას მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში. უნდობლობის აღმოსაფხვრელად გადადგმული ნაბიჯები ორმხრივი უნდა იყოს, მაგრამ ამაში გადამწყვეტი როლი მაინც დიდ სახელმწიფოს ეკუთვნის.

პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზები

როგორც აღვნიშნეთ, უსაფრთხოების უზრუნველყოფა ძირითადი პრობლემაა დიდი სახელმწიფოს მოსაზღვრე პატარა სახელმწიფოსათვის. ამ მიზნის მისაღწევად შეიძლება განხორციელდეს გარკვეული ღონისძიებანი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

პირველი გულისხმობს ღონისძიებებს რომლებიც შეიძლება განხორციელდეს თვით პატარა სახელმწიფოს შიგნით. აქ შეიძლება თავის მხრივ გამოიყოს ორი ძირითადი გეზი:

- საკუთარი სამხედრო ძლიერების ზრდა;

- უარის თქმა საკუთარ სამხედრო ძლიერების ზრდაზე. მცირე ან შემცირებადი შეიარაღება.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საგარეო პოლიტიკაში შეიძლება ასევე არჩეული იქნას რომელიმე, ორი ძირითადი გეზიდან:

- მოკავშირის ძიება;

- მისწრაფება მიუმხრობლობისაკენ, ნეიტრალიტეტი.

საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ამ შესაძლო გზების სხვადასხვაგვარი შეხამების შედეგად შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი სტრატეგიული კურსი, რომელიც შეიძლება აირჩიოს პატარა სახელმწიფომ საკუთარი უსაფრთხოებისათვის:[4]

1. შეიარაღების ზრდა, საკუთარი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება მოკავშირის ძიებასთან ერთად.

2. საკუთარი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების შეხამება საგარეო პოლიტიკაში მიუმხრობლობა-ნეიტრალიტეტის კურსთან.

3. შეიარაღების დაბალი დონე ძლიერი მოკავშირის ძიებასთან ერთად.

4. შეიარაღების დაბალი დონე და მიუმხრობლობა-ნეიტრალიტეტი.

[4] ო.კნუტსენი. პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების შედარებითი ანალიზი. თბილისი, 1999

თუ რომელ გზას დაადგება პატარა სახელმწიფო საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ეს დამოკიდებულია როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ხასიათის მრავალ ფაქტორზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს პატარა სახელმწიფოს რეგიონალურ და გეოპოლიტიკურ მდგომარეობას. პატარა სახელმწიფომ უნდა იცოდეს, აქვს თუ არა მას სტრატეგიული მნიშვნელობა მეზობელი დიდი სახელმწიფოსათვის. აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ: პატარა სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის შეფასება ბევრადაა დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორზე. შეიძლება ითქვას, რომ პატარა სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობა ისეთია, როგორც ამას აფასებს მეზობელი დიდი სახელმწიფოს მმართველი წრეები.

მეზობელი დიდი სახელმწიფოს შესაძლო აგრესიული მოქმედების შესაჩერებლად პატარა სახელმწიფო დაადგება თუ არა თავდაცვის გზას, ეს დამოკიდებულია აგრეთვე მისი ტერიტორიის გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ თავისებურებებზეც. ის შესაძლოა ხელს უწყობდეს, ანდა პირიქით, ნაკლებ მოსახერხებელი იყოს თავდაცვისათვის. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ პატარა სახელმწიფოების უმრავლესობისათვის, მისი სიმცირის გამო, მთელი ტერიტორია ფაქტობრივად საფრონტო ზონას წარმოადგენს.

საკუთარი შეიარაღების ზრდა, თავდაცვის გასაძლიერებლად მიმართული ღონისძიებანი, რა თქმა უნდა, არცერთ შემთხვევაში საკმარისი არ იქნება დიდი სახელმწიფოს აგრესიის მოსაგერიებლად, მაგრამ ჯერ ერთი, ეს საჭიროა აგრესიის დროებით შესაჩერებლად, სანამ დახმარებას მიიღებდეს ძლიერი მოკავშირისაგან (თუკი ყავს ასეთი) და მეორეც, თავდაცვის მიმართულებით გატარებული ღონისძიებანი ზრდიან ე.წ. "აგრესიის ფასს", რომლის გათვალისწინებაც გარკვეულწილად შემაკავებლად მოქმედებს აგრესორზე.

თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება შეიარაღების მაღალი დონის მეშვეობით, როგორც წესი, საგარეო პოლიტიკის სფეროში უხამდება ძლიერი მოკავშირის ძიებას, მაგრამ პატარა სახელმწიფოს შეიძლება აირჩიოს მიუმხრობლობა-ნეიტრალიტეტის პოლიტიკაც. მიუმხრობლობის საშუალებით პატარა სახელმწიფოს წარმატების მიღწევა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს დიდი სახელმწიფოს მხრიდან უშუალო საფრთხე პატარა სახელმწიფოსათვის. შე-

იძლება ითქვას, რომ პატარა სახელმწიფოს მიუმხრობლობის პოლიტიკაში ნიადაგ იგულისხმება რომ აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება რომელიმე დიდი სახელმწიფოს მხარდაჭერა. ე.ი. მომავალი მოკავშირე "შენიღბულია", მაგრამ პირველი მოწოდებისთანავე ის მოვა დასახმარებლად. ამდენად, პატარა სახელმწიფოს მხრიდან თავდაცვის პოლიტიკის არჩევა დაკავშირებულია უპირველეს ყოვლისა იმასთან, ყავს თუ არა მას მოკავშირე დიდი სახელმწიფოს სახით.

პატარა სახელმწიფოს წარმატებული წინააღმდეგობის ფაქტორები

ახლა განვიხილოთ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ პატარა სახელმწიფოს წარმატებით წინააღმდეგობას დიდი სახელმწიფოს პოლიტიკური ზეწოლისადმი და ხელს უწყობენ აგრესიული მოქმედების მოგერიებას.[5]

დაშოშმინების პოლიტიკა

პატარა სახელმწიფოს პოლიტიკა უაღრესად მოქნილი უნდა იყოს, გამოდიოდეს ძალის წინაშე რეალიზმის გრძნობით. შეეცადოს გაითვალისწინოს, თუ მისი რა სახის მოქმედება იქნება სასურველი მეზობელი დიდი სახელმწიფოსათვის, რამაც შეიძლება ხელი ააღებინოს აგრესიულ განზრახვაზე. მას უნდა შეეძლოს რიგ საკითხებში შემრიგებლობითა და დათმობებით მთავარი შენარჩუნება. პატარა სახელმწიფოს ლიდერების პოლიტიკური პროფესიონალიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია შეთანხმების მოძიების უნარი.

დაშოშმინების პოლიტიკა არაეფექტურია იმ შემთხვევაში, თუკი დიდი სახელმწიფოს აგრესიული ზრახვები პირდაპირ არღვევს პატარა სახელმწიფოს სუვერენიტეტს ან ტერიტორიულ მთლიანობას, ას-

[5] ო.კნუტსენი. პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების შედარებითი ანალიზი. თბილისი, 1999

ეთ დროს დათმობა მხოლოდ აუარესებს წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას და წამაქეზებლად მოქმედებს აგრესიულ მეზობელზე.

„მორალური ბარიერი“

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს პატარა სახელმწიფოს წარმატებით წინააღმდეგობას დიდი სახელმწიფოს პოლიტიკური ზეწოლისადმი და ხელს უწყობს აგრესიული მოქმედების მოგერიებას, ესაა აგრესორის წინაშე არსებული გარკვეული "მორალური ბარიერი". აგრესია, მით უმეტეს პატარა ქვეყნის წინააღმდეგ განიხილება როგორც უსამართლო, დასაგმობი აქტი. დიდ სახელმწიფოს ესაჭიროება თავისი აგრესიული მოქმედების გამართლება და დასაბუთება როგორც საერთაშორისო, ისე საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრიობის თვალში.

დიდი სახელმწიფოები, უკიდურეს შემთხვევაში სიტყვით მაინც ცნობენ საერთაშორისო არენაზე ცივილიზებული ურთიერთობის აუცილებლობას, აგრესიის, ძალისმიერი მოქმედების დაუშვებლობას. ამდენად, პატარა ქვეყნის მხარეზეა მორალური უპირატესობა, მისი მოქმედების სამართლიანობის ცნობა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიერ. თვით მეზობელი დიდი სახელმწიფოს შიგნით შეიძლება აღმოჩნდნენ ძალები, რომლებიც მეტ-ნაკლები თანმიმდევრობით დაიცავენ პატარა ქვეყნის ინტერესებს და წინ აღუდგებიან საკუთარი მთავრობის აგრესიულ ნაბიჯებს.

დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერის გარეშე მთავრობას გაუჭირდება თავისი პოლიტიკური ხაზის გატარება. აგრესორი ყოველთვის შეეცდება თავისი მოქმედება სამართლიანად წარმოადგინოს. ამისათვის ის მიმართავს სხვადასხვა ზომებს. პატარა სახელმწიფო მზად უნდა იყოს და დაუყოვნებლივ გამოამჟღავნოს მათი ნამდვილი ხასიათი. ამდენად, არ დაუშვას აგრესორის წინაშე მდგარი "მორალური ბარიერის" გაქრობა.

დიდი სახელმწიფოს სიძნელეები

პატარა სახელმწიფოსთვის ასევე ხელსაყრელი იქნება ნებისმიერი სახის სიძნელეები მეზობელ დიდ სახელმწიფოში, ყველაფერი,

რაც გადაიტანს მის ყურადღებას სხვა საკითხებზე და თავს შეაკავებინებს პატარა სახელმწიფოს წინააღმდეგ მტრული მოქმედებისაგან.

ლავირების პოლიტიკა

პატარა სახელმწიფო საკუთარი სუვერენიტეტის შენარჩუნების მიზნით ზოგჯერ ადგება დიდ სახელმწიფოებს შორის ლავირების გზას. ლავირება პატარა სახელმწიფოს მხრიდან მაშინაა მით უფრო აუცილებელი, როდესაც მას ესაზღვრება არა ერთი, არამედ ორი ან მეტი დიდი სახელმწიფო.

მოსაზღვრეობაში იგულისხმება არა მარტო უშუალო საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის, არამედ დიდი სახელმწიფოს გეოგრაფიული სიახლოვეც. მაგალითად, საქართველოს უშუალოდ ესაზღვრება რუსეთი და თურქეთი, მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია ირანის და უკრაინის სიახლოვეც. ამასთან, თანამედროვე მსოფლიო ისეა შეკავშირებული, რომ გეოგრაფიულად შორს მდებარე დიდი სახელმწიფოებიც შეიძლება უაღრესად დაინტერესებულნი იყვნენ გარკვეულ რეგიონში მიმდინარე მოვლენებით და მტკივნეულად აღიქვამდნენ იქ თავიანთი ინტერესების შელახვას.

დიდ სახელმწიფოთა შორის მეტოქეობამ შეიძლება შექმნას ისეთი ვითარება, როდესაც თითოეული მათგანი უარს იტყვის პატარა სახელმწიფოს თავის გავლენის ქვეშ მოქცევის ცდებზე, იმის სანაცვლოდ, რომ ასეთი მოქმედებისაგან თავს შეიკავებს მეორე დიდი სახელმწიფოც.

ბუნებრივია, ლავირებას აქვს თავისი საზღვრები და მოითხოვს ვითარების უაღრესად ზუსტ აწონ-დაწონვას. საჭიროა სწრაფი რეაგირება საერთაშორისო არენაზე ძალთა ბალანსში მომხდარ მცირე ცვლილებებზეც კი, რომელთაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან პატარა სახელმწიფოს. ჯერ-ერთი, დიდი სახელმწიფოები შეიძლება შეთანხმდნენ პატარა სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ. მეორეც, თუ პატარა სახელმწიფო ლავირების დროს სწორად ვერ განსაზღვრავს თავის პოლიტიკას, ამან დიდი სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება აგრესიული მოქმედება გამოიწვიოს. რაც უფრო მეტია პატარა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა უნარი ერთი მხარის მოთხოვნები დაუპირ-

ისპიროს მეორე მხარის მოთხოვნებს და ამით მიაღწიოს დათმობას თითოეული მათგანისაგან, მით უფრო მაღალია მოცემული ქვეყნის შანსი წინ აღუდგეს ორივე მხარის ზეწოლას.

ლავირება დიდ სახელმწიფოებს შორის საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ქართულ სამეფო-სამთავროებისათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას. ლავირების პოლიტიკაზე უარის თქმამ და რუსეთის იმპერიაზე ცალმხრივმა ორიენტაციამ არსებითად განაპირობა ქართლ-კახეთის სამეფოს კატასტროფა XVIII ს. ბოლოს და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა.

„დროზე თამაშის“ ტაქტიკა

პატარა სახელმწიფო ზოგჯერ მიმართავს დროზე თამაშის ტაქტიკას _ ე.ი. მის ხელმძღვანელ წრეებს მოეთხოვებათ იმის უნარი, რომ სხვადასხვა საშუალებებით მიაღწიონ ეროვნული უსაფრთხოებისათვის საზიანო მოთხოვნების დაყოვნება-გადავადებას (შემდგომი სრული ნეიტრალიზაციის მიზნით). მაგრამ აქ "ხელოვნება" სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არ შეიქმნას მანიპულაციის ან გაჭიანურების შთაბეჭდილება.

პატარა მეზობლების შეკავშირება

დიდი სახელმწიფოს მეზობლად შეიძლება მდებარეობდეს რამდენიმე, ერთმანეთის მოსაზღვრე, პატარა სახელმწიფო. თუმცა, მათ შორის ურთიერთობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დიდი მეზობლის სიახლოვე.

მეზობელ პატარა სახელმწიფოებს შორის შეიძლება არსებობდეს დაძაბულობა, კონფლიქტები, ინტერესთა დაპირისპირება. ასეთი ვითარება ამცირებს თითოეული მათგანის შანსს დაიცვას საკუთარი სუვერენიტეტი დიდ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში. ამ უკანასკნელს კარგი საბაბი ეძლევა მათ საშინაო საქმეებში ჩარევისათვის, შესაძლებლობა აქვს გამოვიდეს "მომრიგებელი შუამავლის" და "წესრიგის დამამყარებლის" როლში.

ისტორიულ გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, აუცილებელია ამ სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის არსებობა, იმისათვის როს მათ შეძლონ თავიანთი დამოუკიდებლობის დაცვა. პატარა სახელმწიფოების შეკავშირება და შეთანხმებული მოქმედება საკუთარი ინტერესების დასაცავად ზრდის მათი წარმატების შანსს დიდ სახელმწიფოსთან დაპირისპირებაში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დიდ სახელმწიფოსთან დაპირისპირებისას პატარა სახელმწიფო, როგორც წესი, ეძებს სხვა დიდ სახელმწიფოსთან კავშირს და ამას ამჯობინებს მეზობელ პატარა სახელმწიფოსთან დაკავშირებას. პატარა სახელმწიფოს ასეთი მოქმედება სავსებით გასაგებია, რადგანაც მისი მმართველი წრეები საფუძვლიანად მიიჩნევენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მოკავშირე დიდი სახელმწიფოს დახმარება უფრო ქმედითი იქნება, ვიდრე მეზობელი პატარა სახელმწიფოსი.

მიუხედავად ზემოთაღნიშნული კანონზომიერებისა, დიდი მოკავშირის ძიებასთან ერთად არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დავიწყებული მეზობელ პატარა სახელმწიფოებთან ურთიერთობა, როგორც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

პოლიტიკოსების პროფესიონალიზმის მნიშვნელობა

განსაკუთრებით დიდია პატარა სახელმწიფოს ხელმძღვანელი წრეების პოლიტიკური პროფესიონალიზმის მნიშვნელობა. რამდენად ეფექტურად, სწორად წარმართავენ და გამოიყენებენ მიზნის მისაღწევად მწირ საშუალებებს. როგორც აღნიშნავს ო.კნუტსენი "წარმატება გაუმნელდება მორჩილსა და გაუბედავს; პატარა სახელმწიფო, რომელიც ხელშეუხებელი დარჩება, უნდა წარმოადგენდეს თავისებურ "აქტიურ მანიპულატორს". რაც უფრო მაღალია პატარა ქვეყნის პოლიტიკოსთა გამოცდილების, წარმოსახვის, მოქნილობის, ნერვების მარაგის დონე და საკუთარი განზრახვათა უნარი, მით უფრო მაღალია საბოლოო წარმატების შესაძლებლობაც.

პატარა სახელმწიფოს პოლიტიკის მესაჭეთა ხელოვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დიდ სახელმწიფოთა შორის ლავირების

დროს, როდესაც ის მოხერხებულად იყენებს დიდ სახელმწიფოთა შორის არსებულდლ მტრულ ურთიერთობას. რაც უფრო მეტია პატარა სახელმწიფოს უნარი ერთი მხარის მოთხოვნები დაუპირისპიროს მეორე მხარის მოთხოვნებს და ამით მიაღწიოს დათმობას თითოეული მხარისაგან, მით უფრო მაღალია მოცემული ქვეყნის შანსი წინ აღუდგეს ორივე მხარის ზეწოლას.

პატარა სახელმწიფოს პოლიტიკა უაღრესად მოქნილი უნდა იყოს და გამოდიოდეს ძალის წინაშე რეალიზმის გრძნობით. შეეძლოს რიგ საკითხებში შემრიგებლობითა და დათმობით მთავარის შენარჩუნება. პატარა სახელმწიფოს ლიდერების პოლიტიკური პროფესიონალიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია შეთანხმების მოძებნის უნარი.

სწორი პოლიტიკის გატარება დიდადაა დამოკიდებული უტყუარი მონაცემების ფლობაზე, რაც ზუსტი გათვლის საფუძველს წარმოადგენს. პატარა სახელმწიფოს არა აქვს უფლება თავს ნება მისცეს პოლიტიკაში შეცდომების დაშვებისა. ამდენად, მისი პოლიტიკა რაც შეიძლება მეტად უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერულ საფუძველს.